ინდივიდის ფსიქოლოგიური მახასიათებლები და გლობალურ სტრესთან გამკლავება საქართველოში

მედეა ბარბარიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე

PHD, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული, სათანადო წესების შესაბამისად.

მედეა ბარბარიანი

15.06.2022

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ ია შეყრილაძეს მხარდაჭერისთვის, ოპერატიულობისა და მოტივაციის ამაღლებისთვის.

ასევე მადლობას ვუხდი შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს,

კვლევის დაფინანსებისთვის.

მადლობას ვუხდი ჩემს კურსელებს, მორალური და ემოციური მხარდაჭერისთვის.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [MR-21-594]

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

(MR-21-594)

სარჩევი

აბსტრაქტი 6
1.შესავალი 8
1.1 გლობალური სტრესორები 9
1.1.1 covid 19-თან დაკავშირებული წუხილი 9
1.1.2 ომზე წუხილი 11
1.2 სიტუაციური შფოთვა და დაძლევა 13
1.3 დაძლევის ხელშემწყობი ფაქტორები 16
1.3.1 თვითეფექტურობა 17
1.3.2 ცხოვრების საზრისი 17
1.4 საკვლევი კითხვები 19
1.6 ჰიპოთეზები 20
1.7კვლევის მიზანი: 20
1.8 ცვლადები: 20
2.მეთოდი 21
2.1შერჩევა 21
2.2 პროცედურა 21
2.3 საკვლევი ინსტრუმენტები 22
3. შედეგები 24
3.1 აღწერითი სტატისტიკა 24
3.2კორელაციური ანალიზი 26
3.3 რეგრესიული ანალიზი 28
3.4 შედეგების განხილვა 29
3.5დასკვნა 32
3.5შეზღუდვები და რეკომენდაციები 33
4. გამოყენებული ლიტერატურა 35
დანართი 38
დანართი 1 38
დანართი 2 39
დანართი 3 40
დანართი 4 41

დანართი 5 43
დანართი 6 43

აბსტრაქტი

ბოლო ორი წლის მანძილზე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა, მნიშვნელოვნად გააუარესა საზოგადოების ემოციური მდგომარეობა. ისეთმა გლობალურმა სტრესორებმა, როგორიცაა პანდემია და უკრაინაში მიმდინარე ომი, უდიდესი გავლენა იქონია ადამიანების როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. მასშტაბურმა გლობალურმა ცვლილებებმა გავლენა იქონიეს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განცდაზე და გამოიწვიეს შფოთვის გაძლიერება. მიუხედავად იმისა, რომ ომი საქართველოს ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს, მან გააძლიერა წარსულში არსებული ომთან დაკავშირებული ტრავმა, და გავლენა მოახდინა აქამდე არსებულ კეთილდღეობის განცდაზე. კვლევის მიზანია, საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში ომთან და პანდემიასთან დაკავშირებული წუხილის, შფოთვისა და დაძლევის შესახებ მონაცემების შეგროვება. კვლევა ადგენს, როგორია შფოთვისა და დაძლევის მიმართებას თვითეფექტურობასა და ცხოვრების საზრისთან.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი დიზაინით, ხელმისაწვდომი შერჩევის გამოყენებით. ელექტრონული კითხვარი გავრცელდა სოციალური ქსელების მეშვეობით, საქართველოს 18+ ასაკის მოსახლეობაში. კვლევაში 254-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, მათი 41% მამრობითი, ხოლო 59% მდედრობითი სქესისაა. საკვლევ ინსტრუმენტებად გამოყენებული იყო: სიტუაციური შფოთვის კითხვარი, თვითეფექტურობის ზოგადი სკალა, დაძლევის გზების სკალა, ცხოვრების საზრისის კითხვარი, ომთან და პანდემიასთან დაკავშირებული შფოთვის გასაზომად კი კოვიდწუხილისა და უკრაინის ომზე წუხილის სკალებია გამოყენებული. ცვლადებს შორის მიმართებების დასადგენად, კვლევაში გამოყენებულია კორელაციური და რეგრესიული ანალიზი.

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კვლევის მონაწილეებს მაღალი აქვთ ომზე წუხილის მაჩვენებელი, ხოლო კვლევაში მონაწილე ადამიანებისთვის, კოვიდწუხილი ამ ეტაპისთვის აქტუალური აღარ არის. მონაცემთა საშუალო მაჩვენებლების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ კვლევის მონაწილეებს მაღალი თვითეფექტურობისა და ცხოვრების საზრისის მაჩვენებლები აქვთ, რასაც ვერ ვიტყვით ემოციურ დაძლევასა და სიტუაციურ შფოთვაზე. მაღალი სიტუაციური შფოთვა ნეგატიურ კორელაციაშია თვითეფექტურობასთან, ცხოვრების საზრისსა და ნეგატიურ დაძლევასთან, ხოლო დადებით კორელაციაშია ემოციურ გამკლავებასთან. თვითეფექტურობა და ცხოვრების საზრისის ფლობა დადებით კორელაციაშია რაციონალურ გამკლავებასთან და ომზე წუხილთან ერთად პროგნოზირებენ მას. სიტუაციურ შფოთვასა და ემოციურ გამკლავებას კორელაციური კავშირი აქვთ, ხოლო სიტუაციური შფოთვისა და ომზე წუხილისა და covid-წუხილის მიერ ემოციური გამკლავების პროგნოზირება არ დადასტურდა რეგრესიული ანალიზით.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ თვითეფექტურიბის განცდა და ცხოვრების საზრისის ფლობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გამკლავების რაციონალური სტილის არჩევაზე, ხოლო სიტუაციური შფოთვა დადებით კორელაციურ კავშირშია (0.5) ემოციურ გამკლავებასთან.

საკვანძო სიტყვები: თვითეფექტურობა, ცხოვრების საზრისი, შფოთვა, დაძლევა, გლობალური სტრესი

Abstract

The global events happening during the last two years importantly worsened individuals' emotional states, including increased anxiety. Global stressors such as Pandemics and the war in Ukraine greatly influenced individuals' physical and mental health. They affect feelings of safety and stability. Even though the war does not occur in Georgia's territory, it triggers previous war-related trauma and affects the population's sense of well-being. The study also explores how anxiety and coping are related to self-efficacy and the meaning of life. This study aims to collect data about pandemic-related and war-related worry and anxiety and coping among adults in Georgia.

254 individuals participated in the study with a quantitative design and convenience sampling. the data was carried out via an electronic survey.41% of participants were male, and 59% were female. State anxiety inventory, generalized self-efficacy scale, ways of coping scale, and the meaning in life questionnaires were used as measures. The worry about global stress was measured via the COVID-19 and the worry about the Ukraine crisis scale. The correlation and regression analyses were performed to identify notable links among the variables.

According to the results of statistical analysis, participants were much more worried about the war in Ukraine, than the COVID-19 pandemics. More than 50% of participants mark, that they are worried about their future, and the war has fluence on their everyday lives, emotions, and motivations. Participants have a high level of self-efficacy and meaning in life. Overall, anxiety was negatively linked with self-efficacy, problem-focused coping, and meaning in life. It's positively related to pandemic-related, war-related worry, and emotional coping. Self-efficacy and meaning in life, with war-related worry, are predicted by problem-focused coping.

The research findings highlighted the protective role of self-efficacy and meaning in life against anxiety and their potential in promoting rational coping during global stress.

Keywords: self-efficacy, meaning of life, anxiety, coping, global stress

1.შესავალი

პანდემიის დაწყებამ გავლენა იქონია მსოფლიო მოსახლეობის როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. 2022 წლის თებერვალში უკრაინაში დაწყებული ომი კი კიდევ ერთი გლობალური სტრესორია, რომელმაც არასტაბილურობისა და საფრთხის განცდა გაზარდა მსოფლიო მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ევროპის რეგიონში. მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გლობალური სტრესორების კვლევა ამ პერიოდის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ კვლევაში გარდა გლობალური სტრესორებისა, ჩართულია ისეთი ცვლადები, როგორებიცაა სიტუაციური შფოთვა, რაციონალური და ემოციური დაძლევის სტილები. ყურადღება გამახვილდა ისეთ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე, რომლებიც კავშირშია შფოთვასთან და ზოგიერთ შემთხვევაში მის პრედიქტორადაც გვევლინება (García-Álvarez, et al.,2020) . გარდა შფოთვის გამაძლიერებელი ფაქტორებისა კვლევაში აღწერილი იქნება დამცავი ფაქტორების, თვითეფექტურობისა და ცხოვრების საზრისის მიმართება, როგორც სიტუაციურ შფოთვასთან, ასევე კოვიდწუხილთან, რაციონალურ და ემოციურ დაძლევასთან. კორელაციურისა და რეგრესიული ანალიზის საშუალებით გამოვლინდება რაციონალური და ემოციური გამკლავების ტიპების მიმართება, როგორც თვითეფექტურობის ხარისხთან, ასევე ცხოვრების საზრისის ფლობასთან. გლობალური სტრესორები უდიდეს გავლენას ახდენენ ინდივიდთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ამ მიმართულების კვლევები უკვე ჩატარდა სხვა ქვეყნებში, ამ კვლევების მაგალითზე, მნიშვნელოვანია მსგავსი შინაარსის კვლევის ჩატარება საქართველოშიც (Cao et al., 2020; Rettie et al., 2021; Tailor et al.,2008;Tullet al., 2020)

კვლევა ერთის მხრივ ეხმიანება და ფეხს უწყობს მსოფლიოს მეცნიერების მიერ პანდემიური და ომის კონტექსტის კვლევას ფსიქოლოგიურ მახასიათებლებთან